საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 2512 2018 წლის 28 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობას, სს „სუფსა ენერჯის“, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გაერთიანებულ ენერგეტიკულ სისტემა საქრუსენერგოსა“ და შპს „ენერგოტრანსს“ შორის „ბარამიძე ჰესი“ ჰიდროელექტროსადგურის შესახებ 2016 წლის 7 ოქტომბერს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობას, სს „სუფსა ენერჯის“, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გაერთიანებულ ენერგეტიკულ სისტემა საქრუსენერგოსა“ და შპს „ენერგოტრანსს“ შორის „ბარამიძე ჰესი“ ჰიდროელექტროსადგურის შესახებ 2016 წლის 7 ოქტომბერს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილებების შეტანის თაობაზე დასადები შეთანხმება.

2. სს „სუფსა ენერჯი“ გათავისუფლდეს ამ განკარგულების პირველ პუნქტში განსაზღვრული შეთანხმების ხელმოწერამდე მშენებლობის ნებართვის საფუძველზე მშენებლობის დაწყების ვადის გადაცილებისთვის საქართველოს მთავრობას, სს „სუფსა ენერჯის“, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, სს

„საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გაერთიანებულ ენერგეტიკულ სისტემა საქრუსენერგოსა“ და შპს „ენერგოტრანსს“ შორის 2016 წლის 7 ოქტომბერს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის 4.2 პუნქტით განსაზღვრული სანქციების დაკისრებისგან.

3. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, შეთანხმებას საქართველოს მთავრობის სახელით ხელი მოაწეროს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი ქობულიამ.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**